

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში („საკანონმდებლო მაცნე“, №15, 17.09.2004) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-4 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ბ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) არასაპატიო მიზეზით ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა უმაღლესი საბჭოს სასესიო (პლენარული და საკომიტეტო სხდომები) მუშაობაში.“.

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით, დადგენილებით წყვეტს უმაღლესი საბჭო.“.

2. მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„1. უმაღლესი საბჭოს წევრი სარეგებლობს თავისუფალი მანდატით და მისი გაწვევა დაუშვებელია.“.

3. მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6. უმაღლესი საბჭოს წევრის მოწმობა და სამკერდე ნიშანი უმაღლესი საბჭოს წევრს აქვს უმაღლესი საბჭოს წევრის მოწმობა და ატარებს სამკერდე ნიშანს, რომელთა ნიმუშებს ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო.“.

4. მე-7 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსთან სამეწარმეო ან საჯარო სამსახურში რაიმე თანამდებობის შეთავსება. შეუთავსებლობის შემთხვევები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით.“.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაუშვებელია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი იმავდროულად იყოს სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, ეკავოს რაიმე თანამდებობა საჯარო სამსახურში ან სახაზინო დაწესებულებაში.“.

5. მე-8 და მე-9 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების წარდგენის ვალდებულება

1. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებში შეავსოს და წარადგინოს ქონებრივი მდგომარეობის და საფინანსო დეკლარაციები. აღნიშნული ვალდებულება უმაღლესი საბჭოს წევრს ეკისრება თანამდებობის დატოვებიდან ერთი წლის განმავლობაში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“.

მუხლი 9. ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების საჯაროობა

1. ქონებრივი მდგომარეობისა და საფინანსო დეკლარაციების შინაარსის საჯაროობა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი პერიოდულად და საჭიროების შემთხვევაში აანალიზებს სათანადო ორგანოებიდან წარმოდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრის ქონებრივი მდგომარეობისა ან/და საფინანსო დეკლარაციების შესახებ ინფორმაციას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში საკითხი შეაქვს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განსახილველად.“.

6. მე-11 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. უმაღლესი საბჭოს სხდომებში მონაწილეობა“.

ბ) მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) გამოთქვას აზრი უმაღლესი საბჭოს მიერ შესაქმნელი ორგანოების, მათი პერსონალური შემადგენლობისა და იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომლებსაც ირჩევს, ამტკიცებს, ან რომელთა დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო;“.

7. მე-12 მუხლის პირველი და მეორე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს აირჩიოს ან არჩეულ, დანიშნულ ან წარდგენილ იქნას უმაღლესი საბჭოს თანამდებობებზე (გარდა უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსისა), უმაღლესი საბჭოს კომიტეტის, საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შემადგენლობაში, გაერთიანდეს ფრაქციაში, გადადგეს ან გამოვიდეს ამ ორგანოებიდან.

2. უმაღლესი საბჭოს კომიტეტების, საკითხის შემსწავლელი ჯგუფის შემადგენლობაში არჩევისა და ამ ორგანოებიდან უმაღლესი საბჭოს წევრის გამოსვლის წესი განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.“.

8. მე-13 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში;

ბ) კითხვით მიმართოს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სახელმწიფო დაწესებულებებს, მიიღოს და შეაფასოს პასუხი. შესაბამისი ორგანო ან თანამდებობის პირი ვალდებულია 10 დღის ვადაში უპასუხოს შეკითხვას. შეკითხვის ავტორთან შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 10 დღით;“.

9. მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 14. უფლება ინფორმაციაზე

უმაღლესი საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს ყველა ინფორმაციით რომელიც აუცილებელია მისი უფლებამოსილების განსახორციელებლად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) დადგენილი წესით უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებს მოსთხოვოს სათანადო ინფორმაცია და ორგანიზაციულ-ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა;“.

გ) გაეცნოს უმაღლესი საბჭოსა და მისი ორგანოების სხდომათა სტენოგრამებში თავისი გამოსვლის ტექსტს ოქმში შეტანამდე, აგრეთვე მიიღოს იმ გამოსვლის ტექსტი, რომელიც არ ქვეყნდება;

10. მე-15 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) იყოს უმაღლესი საბჭოს ერთი კომიტეტის შემადგენლობაში, გარდა უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი გამონაკლისისა ;“.

11. მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უმაღლესი საბჭოს წევრი სარგებლობს სამსახურებრივი პასპორტით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადით.“.

12. მე-19 მუხლის პირველი, მე-3 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

13. 21-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

14. 25-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. უმაღლესი საბჭოს წევრს სადეპუტატო საქმიანობის განსახორციელებლად უმაღლესი საბჭოს შენობაში გამოეყოფა სამუშაო ფართი და საჭირო აღჭურვილობა.“.

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

15. 27-ე და 28-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზება.

უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარ დეპუტატებს ამომრჩევლებთან ურთიერთობის ორგანიზების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების

საქმიანობაში მონაწილეობისა და საკითხების გადაწყვეტის მიზნით ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები.“.

მუხლი 28. ამომრჩევლებთან ურთიერთობის უზრუნველყოფა

1. ამომრჩეველთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისას უმაღლესი საბჭოს წევრი, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, თანამშრომლობს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან.

2. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, უმაღლესი საბჭოს წევრის მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებული არიან უზრუნველყონ იგი სამუშაო ოთახით, ადმინისტრაციულ საზღვრებში გადასაადგილებლად სატრანსპორტო საშუალებით, კავშირგაბმულობის საშუალებებით, მათ შორის სამთავრობო კავშირით.

3. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილებზე უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობის მატერიალურ უზრუნველყოფასთან, ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

16. 30-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 30. პასუხისმგებლობა მოთხოვნათა შეუსრულებლობისათვის ან საქმიანობის განხორციელების ხელის შეშლისათვის

თანამდებობის პირების, სახელმწიფო ორგანოების სხვა მოსამსახურეების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების ხელმძღვანელთა მიერ უმაღლესი საბჭოს წევრის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნების შეუსრულებლობა ან ამ საქმიანობის განხორციელებისათვის ხელის შეშლა იწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ბათუმი,
2008 წლი
№